

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ოქმი N10

ქ.თბილისი

16 იანვარი, 2018 წელი
16⁰⁰საათი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს თავმჯდომარე: გიორგი ტყემალაძე

საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე: გიორგი ახვლედიანი

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: მარიკა დარჩია

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: დავით უჯმაჯურიძე

საკრებულოს წევრები:

მიხეილ ამაშუკელი

ლევან არველაძე

რამინა ბერაძე

თემურ გორგაძე

გიორგი გაბაშვილი

ოთარ გრიგოლია

გულია გოცირიძე

ბექა დავითულიანი

ლევან დავითაშვილი

ლევან დარახველიძე

მარინა დათუკიშვილი

ნიკოლოზ ვაჩიშვილი

გიორგი დოხტურიშვილი

გოჩა თევდორაძე

ირაკლი ზარქუა

ანა ლაშხი

ფრიდონ ინჯია

ლილე ლიპარტელიანი

ერეკლე კუხიანიძე

გიორგი მუსხელიშვილი

ნინო ლაცაბიძე

თინათინ ნიბლოშვილი

ქეთევან მამულაშვილი

ელენე ოზაშვილი

ირაკლი ნადირაძე

დათო ჟღენტბი

შალვა ოგბაიძე

რევაზ სოხაძე

ლევან ჟორჟოლიანი

დავით უთმელიძე

დათო რურუა

ავთანდილ ცინცაძე

თამარ ტალიაშვილი

დავით ჭელიძე

ვახტანგ შაქარიშვილი

ალექსანდრე ხუჯაძე

გიორგი ჩაკვეტაძე

ლევან ხაბეიშვილი

ვლადიმერ ძნელაძე

ლევან ჯაფარიძე

ჯაბა ჯიშკარიანი

ქეთევან ჯოხაძე

სხდომას ესწრებოდნენ:

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე (ვიცე-მერი) ირაკლი ხმალაძე;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის უფროსი ვლადიმერ ჭილაძე;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი გაიოზ თალაკვაძე;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსი სერგო ბირკაძე;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე მალხაზ ჭამპურიძე;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ისნის რაიონის გამგებელი კახაბერ ლაბუჩიძე;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ უფროსი ირაკლი თავართქილაძე;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ „არქიტექტურის სამსახურის“ წარმომადგენელი ეკა ცეცხლაძე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა გახსნა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ. მან დამსწრე საზოგადოებას მიულოცა შობა-ახალი წლის დღესასწაული და წარმატებები უსურვა.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე განცხადებები გააკეთეს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებმა.

გიორგი ტყემალაძემ, იქიდან გამომდინარე, რომ ბოლო დღეებში ოპოზიციის წარმომადგენლები ხშირად საუბრობენ მერიაში მიმდინარე სტრუქტურულ ცვლილებებზე უარყოფით კონტექსტში, მოუწოდა მათ, საკითხების განხილვისას იყვნენ კონსტრუქციულები, ნუ ეცდებიან საზოგადოების შეცდომაში შეყვანას და მეტი ყურადღება დაუთმონ წარმოდგენილ სტრუქტურულ ცვლილებას და მენეჯმენტს. გიორგი ტყემალაძემ აღნიშნა, რომ ამ დღეების განმავლობაში არგუმენტირებული პასუხები იყო გაცემული ხელფასების ზრდასთან დაკავშირებით და დაინტერესდა, რითი განსხვავდება მერიის თანამდებობის პირების დღევანდელი შემოსავალი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრების იმდროინდელი შემოსავლისგან, როდესაც ისინი მერიაში იკავებდნენ მაღალ თანამდებობებს.

ირაკლი ნადირაძემ განაცხადა, რომ „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდგომ, იმის ნაცლად, რომ გაზრდილიყო პენსიები, სამუშაო ადგილები, მოსახლეობის შემოსავალი ან ქვეყნის დოვლათი, იზრდება კრიმინალი, ფასები, გადასახადები, კორუფცია, ნეპოტიზმი, ბიუროკრატია და ხელფასები. მისი თქმით, თბილისის მერის სიტყვები, თითქოს მცირდება ბიუროკრატია, ტყუილია, რადგან თბილისის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცებისას, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებს წარდგენილი ჰქონდათ კონკრეტული ციფრები, თუ როგორ არის გაზრდილი ბიუროკრატია და როგორ შეიძლება ამ მიმართულებით თანხის დაზოგვა. დღეს, ხელისუფლების წარმომადგენლები ისე საუბრობენ, რომ ხელფასები კი არ ორმაგდება, არამედ ერთიანდება დანამატები და ხელფასები, თითქოს წლების განმავლობაში ისინი დანამატებს და პრემიებს მართებულად, წარმატებული საქმიანობისთვის იღებდნენ. ეს ყოველთვის პრობლემატური საკითხი იყო საზოგადოებისთვის და იმ ფონზე, როდესაც უფასო სასაბილოებში სოციალურად დაუცველების კვებისთვის გამოყოფილია 1.18 ლარი და „ქართულმა ოცნებამ“ ვერ შეასრულა ვერც ერთი დაპირება, რა თქმა უნდა, ხელფასები არ უნდა გაიზარდოს.

მარინა დათუკიშვილმა განაცხადა, რომ მას, საკრებულოს აპარატის უფროსის თანამდებობაზე ყოფნისას ჰქონდა ზუსტად იგივე რაოდენობის ხელფასი, რაც მაშინდელი კომისიის თავმჯდომარეს, რაც შეეხება დღეს წარმოდგენილ ხელფასებს, რომელსაც დამატებული აქვს დანამატი, არის არანორმირებული ანაზღაურება. მისი თქმით, როდესაც უფასო სასაბილოებში სოციალურად დაუცველების კვებისთვის გამოყოფილია 1.18 ლარი და პენსიონერებზე არ ფიქრობს არც ცენტრალური ხელისუფლება და არც თვითმმართველობა, ნურავის ეწყინება მისი სიტყვები, როცა დღევანდელ ხელისუფლებას „სამოვარზე მოსული ხელისუფლება“ უწოდა, რადგან ეს ნიშნავს, რომ მხოლოდ ხელფასები იმატებს ხელისუფლების მაღალჩინოსნებისთვის, ხოლო პენსიონერების, სოციალურად დაუცველების და სხვა მრავალი გაჭირვებული ადამიანის მდგომარეობა არაფრით უმჯობესდება. მარინა დათუკიშვილმა განმარტებაზე, რომ ხელფასების და დანამატის გაერთიანებას ითვალისწინებს კანონი, განაცხადა, რომ ამას კანონი ნამდვილად არ ითვალისწინებს, რადგან დანამატი არის ანაზღაურება ზეგანაკვეთური სამუშაოსთვის და გამოდის, რომ „ნარმანიას ხელისუფლება“ ზეგანაკვეთურ სამუშაოს ახორციელებდა ყოველთვიურად და პერმანენტულად იღებდა აბსოლუტურად შეუსაბამო რაოდენობის დანამატს, ხოლო ეხლა ხდება იმ დანამატის დაკანონება.

გიორგი ტყემალაძემ მიმართა მარინა დათუკიშვილს, რომ უხერხულია ერთმანეთისთვის „სამოვარზე მოსული“ და მსგავსი გამონათქვამებით შეურაცხყოფის მიყენება და აღნიშნა, რომ დღეს, თვითმმართველობაში დასაქმებული ყველა ადამიანი იღებდა ხელფასს, რომელიც შედგებოდა ხელფასის, დანამატის და პრემიისგან, თუმცა ამ უკანასკნელს არასდროს

იღებდნენ საკრებულოს წევრები, მას იღებდნენ მხოლოდ აპარატის თანამშრომლები და დღეს, ეს ყველაფერი არის გაერთიანებული, რადგან გადავდივართ სახელფასო სისტემაზე, რომელიც აღარ გაითვალისწინებს დანამატს და პრემიას.

მარინა დათუკიშვილმა განაცხადა, რომ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში, პერმანენტულად იზრდებოდა პენსია, რაც არ ხდება დღევანდელი ხელისუფლების პირობებში. მან ასევე ისაუბრა საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგით წარმოდგენილ მე-19 და 21-ე საკითხებზე, რომლებიც პირველი და მეორე საკითხების იდენტურია, თუმცა ძალაში უნდა შევიდეს 23 თებერვლიდან და აღნიშნა, რომ საკითხი საკრებულოში შემოვიდა მხოლოდ გუშინ, არის საკმაოდ მოცულობითი, მოითხოვს დეტალურ შესწავლას და რადგან ძალაში უნდა შევიდეს 23 თებერვლიდან, უმჯობესი იქნება მათი განხილვის გადადება რამდენიმე დღით, თუნდაც 22 იანვრამდე, რომ არ დაირღვეს კანონის მოთხოვნა.

გიორგი ტყემალაძემ განმარტა, რომ სწორედ კანონით მოთხოვნილი ვადებიდან გამომდინარე, გადაწყდა აღნიშნული საკითხების დღევანდელ სხდომაზე განხილვა, რადგან დადგენილების ძალაში შესვლამდე და ამოქმედებამდე გასავლელია გარკვეული პროცედურები.

ლევან ხაბეიშვილმა განაცხადა, რომ წარმოდგენილ ცვლილებებს უწოდა „მარცვა კანონის სახელით“, რადგან დანამატის და პრემიის ხელფასში გაერთიანება ისეა წარმოდგენილი, თითქოს მთელი სამოქალაქო საზოგადოება შეთანხმებულია, რომ ყოველთვიურად დანამატების აღება იყო ნორმა. მისი თქმით, როდესაც ქალაქის მერი საუბრობდა ბიუროკრატიის შემცირებაზე და ოპტიმიზაციაზე, სწორედ ამ კუთხით უნდა განხორციელებულიყო შესაბამისი რეგულაციები, თუმცა არა ისე, როგორც დღეს არის წარმოდგენილი, რომ სახელფასო ანაზღაურების გაზრდისთვის გამოყენებულია კანონით გათვალისწინებული უმაღლესი ჭერი. ლევან ხაბეიშვილმა მიმართა უმრავლესობის წევრებს „პრემიაც აიღეთ, დანამატიც აიღეთ, ძალიან ბევრი შემოსავალიც გქონდეთ მაშინ, თუ დოვლათს შექმნით დედაქალაქელებისთვის“. მისი თქმით, ჩინოვნიკებმა ყოველდღიურად ნორმად დაიწესეს დღეში 180 ლარი, რაც თვეში ფაქტობრივად 6000 ლარია იმ ფონზე, როდესაც უფასო სასადილოებში სოციალურად დაუცველების კვებისთვის უკვე წლებია გამოყოფილია 1.18 ლარი, სოციალურად დაუცველების შემწეობა თვეში საშუალოდ არის 40-50 ლარი და პენსიონერები 180 ლარს ელოდებიან თვიდან თვემდე, და მიმართა „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებს „ეს გაგეორმაგებინათ, გაგესამმაგებინათ და მოიმატეთ ხელფასებიც, პრემიაც და დანამატიც“. ლევან ხაბეიშვილმა აღნიშნა, რომ დღევანდელ საკრებულოს სხდომას ესწრება ქალბატონი ლალი ჯაბანაშვილი, რომელიც არის სოციალურად დაუცველი პენსიონერი, რომელმაც 18 წლის შვილი დაკარგა აფხაზეთის ომში და მას იანვრიდან შეუწყდა უფასო სასადილოში კვების უფლება და უმრავლესობის წევრებისგან მოითხოვა ამ ქალბატონისთვის პასუხი გაცემა.

ბექა დავითულიანმა აღნიშნა, რომ უკვე წლებია ხელისუფლებას კოლეგა ოპოზიციონერებთან მუშაობა უწევს „აჟიოტაჟურ და კამპანიურ რეჟიმში, მაგრამ ეს მათი სტილია... მათი სტილია შექმნან ქარიშხალი ცარიელ ჭიქაში“. თუმცა, იმისთვის, რომ მოსახლეობა არ დაიბნეს, აუცილებელია კიდევ ერთხელ განიმარტოს, რომ მერიის თანამდებობის პირები არ იღებენ იმაზე არც ერთი თეთრით მეტს, რასაც აქამდე იღებდნენ. პენსიონერების და სოციალურად დაუცველების შემოსავლებთან მიმართებაში, ხელისუფლების წარმომადგენლების შემოსავალი ნამდვილად მაღალია, თუმცა ეს განსხვავება გაჩნდა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში და იმ ცოტა გადაწყვეტილებათაგანია, რომელიც სწორი იყო, რადგან სახელმწიფო მოხელეს უნდა ჰქონდეს სათანადო ანაზღაურება. ბექა დავითულიანმა კითხვით მიმართა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებს „რამე შეიცვალა?.. თქვენ, რომლებიც თანამდებობის პირები იყავით, იმაზე ნაკლებ ანაზღაურებას იღებდით, ვიდრე ეხლა იღებენ თქვენს ადგილას მომუშავე პირები?.. თქვენ რითი იმსახურებით იმ ანაზღაურებას და რატომ არ იმსახურებთ ის ადამიანი, ვინც ეხლაა?.. უკეთესად მუშაობდი?.. რა გააკეთეთ იმაზე უკეთესი, ვიდრე დღევანდელი

სოციალური პროგრამებია მოსახლეობისთვის?“ ბექა დავითულიანის თქმით, დედაქალაქში არსებობს პრობლემები და უმჯობესია მათზე მსჯელობა და არა გამოგონილ პრობლემებზე, როდესაც ანაზღაურება არც ერთი თეთრით არ იზრდება და მოსახლეობის შეცდომაში შეყვანის მიზნით, ხდება არასწორი ინფორმაციის გავრცელება.

ნიკოლოზ ვაჩიშვილმა განაცხადა, რომ „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო დაპირებები, როგორებიც იყო ყველაზე დაბალი სოციალური ფენების გვერდში დგომა და მოქალაქეების მხარდაჭერა, მოსახლეობას აძლევდა დიდ იმედს, რომ მთავრობა იქნებოდა მათ გვერდით, თუმცა, გავიდა წლები და ვხედავთ სრულიად საპირისპირო სურათს - იმ ფონზე, როდესაც ყველა მიმართულებით გვაქვს ჩავარდნა, დეგრადაციის და უკუსვლის ნიშნები, ჩინოვნიკებს ეზრდებათ ხელფასი, რაც კიდევ ერთი ზზარია საზოგადოებასა და მუნიციპალიტეტს შორის. განაცხადა, რომ ხელფასის მატება ძალიან კარგია მაშინ, როდესაც ეს მატება, პირველ რიგში, აისახება მოსახლეობაზე და როდესაც ერთიანდება ხელფასი და დანამატი ეს თავისთავად გამოდის მეტი და როდესაც მოქალაქეების ცხოვრების გაუმჯობესებას არაფერი დატყობია, ჩინოვნიკებს უფლება არ აქვთ გაიზარდონ ხელფასები. ნიკოლოზ ვაჩიშვილის თქმით, უმჯობესი იქნება „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებმა იფიქრონ იმაზე, რომ აღნიშნული საზოგადოებასა და მმართველობას შორის დისკარმონია და დისპროპორციაა.

ირაკლი ზარქუამ განაცხადა, რომ ბოლო დღეებია საზოგადოება ისმენს დემაგოგიას და მათთვის სწორი ინფორმაციის მიწოდების მიზნით, სხდომაზე წარადგინა დოკუმენტი, რომელშიც ასახული იყო ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის, როგორც „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლების, ასევე დღევანდელი თანამდებობის პირების წლიური შემოსავალი და აღნიშნა, რომ წინა ხელისუფლების პერიოდში გაცილებით მაღალი ანაზღაურება იყო, ვიდრე დღეს არის წარმოდგენილი. ირაკლი ზარქუამ განაცხადა, რომ წარმოდგენილი რესტრუქტურის ჩაცვიით იწყება იმ პოლიტიკის განხორციელება, რომელიც თბილისელებს „სიცოცხლით სავსე ქალაქში“ აცხოვრებს.

რამინა ბერაძემ განაცხადა, რომ მიუღებელია ის შეგონებები და შეურაცხმყოფელი გამონათქვამები, რომელიც უკვე ერთი კვირაა ისმის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებისგან და მიმართა მარინა დათუკიშვილს, როდესაც საუბრობს საკრებულოს აპარატის უფროსის თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში არსებული ხელფასის ოდენობაზე, უმჯობესი იქნება გაიხსენოს საკუთარი მივლინებები და ზოგადად, საქმიანობა. მან მიმართა ლევან ხაბეიშვილის მიერ ნახსენებ ქალბატონ ლალის, რომ პირადად შეხვდება და დაეხმარება ყველა პრობლემის მოგვარებაში. რამინა ბერაძის თქმით, უხერხულია პრემიებზე საუბარი იმ გუნდისგან, რომლის დროსაც ამ უკანასკნელმა შეადგინა 1800000-მდე ლარი მაშინ, როდესაც მე-5 მოწვევის საკრებულოს არც ერთ წევრს, პრემიის სახით, არ მიუღია არც ერთი თეთრი. რაც შეეხება იმას, თუ რა გააკეთა დღევანდელმა ხელისუფლებამ, განაცხადა, რომ „ქართულმა ოცნებამ“ გააკეთა ის, რომ არა მარტო სოციალური, არამედ ბევრი სხვა მიმართულებით განხორციელდა და კიდევ განხორციელდება მოქალაქეების კეთილდღეობისკენ მიმართული პროგრამები და მოქალაქეებს არ ეშინიათ იცხოვრონ ლაღად.

ვახტანგ შაქარიშვილის თქმით, სამწუხაროა, რომ ქვეყანაში დემოკრატიული პოლიტიკური პროცესის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რგოლის - ჯანსაღი ოპოზიციის დანაკლისია. დღეს არ არსებობს ისეთი ოპოზიცია, რომელიც ორიენტირებული კი არ იქნება იმაზე, რომ როგორმე ხელისუფლებას საქმიანობაში შეუშალოს ხელი, არამედ მონაწილეობას მიიღებს მოსახლეობის სასიკეთო გადაწყვეტილების მიღების პროცესში. სამწუხაროა, რომ დღევანდელი ოპოზიციისთვის „შესაკრებთა გადანაცვლებით, ჯამი იცვლება“ და საზოგადოებას დროს ვაკარგვინებთ თითოეულ მათ ტყუილზე ამომწურავი პასუხის მოსმენაში. ვახტანგ შაქარიშვილმა მიმართა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებს: „ძალიან გთხოვთ, გაიხსენოთ თქვენი პრაქტიკა და ნუ გაღიზიანებთ იმ მტკივნეული საკითხების შეხსენება, რომლებიც მრავლად იყო თქვენი მმართველობის პერიოდში“.

გოჩა თევდორაძემ მიმართა უმრავლესობის წარმომადგენლებს „თქვენ ოპოზიციად ხედავთ მხოლოდ ნაციონალურ მოძრაობას... გყავთ ოპოზიცია, რომელსაც მართლაც აქვს სურვილი მონაწილეობა მიიღოს ისეთ გადაწყვეტილებებში, რომლებიც სასიკეთოდ წაადგება ჩვენს მოსახლეობას“. მისი თქმით, მოსახლეობას სწორად უნდა მიეწოდოს ინფორმაცია, რომ როდესაც ერთიანდება ხელფასი, პრემია და დანამატი, ეს ნიშნავს ხელფასის გაზრდას, რადგან პრემია შეიძლება გაიცეს როგორც ყოველ თვეს, ასევე რამდენიმე თვეში ერთხელ განსაკუთრებით კარგი მუშაობისთვის ან თუ ამ უკანასკნელს ადგილი არ ჰქონდა, საერთოდ არ გაიცეს. გოჩა თევდორაძის თქმით, ხელფასი უნდა იზრდებოდეს იმიტომ, რომ საჯარო მოხელეს ჰქონდეს მეტი მოტივაცია, შრომის ნაყოფიერება იყოს მაღალი, დაზღვეული იყოს ისეთი რისკები, როგორებიცაა კორუფცია და სხვა, თუმცა ეს უნდა ხდებოდეს იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ შევძლებთ ამ ხელფასების ზრდით როგორღაც ვარგოთ პენსიონერებს, იმ ადამიანებს, რომლებიც დასაქმებული არიან საბიუჯეტო სფეროში - პედაგოგები, აღმზრდელები, კულტურის სფეროს მუშაკები და სხვა. გოჩა თევდორაძემ განაცხადა, რომ მხოლოდ საჯარო მოხელეების ხელფასის ზრდის პროცესში „პატრიოტთა ალიანსის“ წარმომადგენლები მონაწილეობას არ მიიღებენ, რადგან მხოლოდ ეს ნაბიჯი საზოგადოებას პოზიტიურად ვერ წაადგება.

გიორგი გაბაშვილმა, სიტყვებზე, რომ თითქოს არ არსებობს ოპოზიცია, რომელიც რეალურ საკითხებზე ისაუბრებს, განაცხადა, რომ დღეს წარმოდგენილი საკითხი საკმაოდ რეალურია და აღნიშნა, რომ ხელფასების ზრდა, თუნდაც იმ მოტივით, რომ მასში გათვალისწინებულია დანამატი და ის გახდება უკვე ხელფასის ნაწილი, „შექებას და კომპლიმენტს“ არ დაიმსახურებს და ოპოზიცია ყოველთვის გააკრიტიკებს ბიუროკრატიაზე გაცემულ ხარჯებს. გიორგი გაბაშვილმა განაცხადა, რომ გიგი უგულავას, რომელმაც ამ ქალაქისთვის სასარგებლო ასობით პროექტი განახორციელა და შეცვალა ქალაქის იერსახე და ფუნქციონირება დადებითისკენ, აკრიტიკებდა ოპოზიცია, როდესაც ბიუჯეტიდან გაიცემოდა დიდი თანხები. ხოლო დღეს, როდესაც ეკონომიკური ზრდა ძალიან დაბალია, ლარი გაუფასურებულია და ადამიანების შემოსავალი არასაკმარისია იმისთვის, რომ თავი ირჩინონ, რადგან ყველა მიმართულებით არის ინფლაცია, ბიუროკრატის ხარჯის ზრდას არავინ მოიწონებს. გიორგი გაბაშვილის თქმით, ვერც საკრებულოს უმრავლესობის და ვერც მერიის ვერც ერთი წევრი ვერ დადებს პოლიტიკურ პირობას, რომ ამ გაზრდილ ხელფასებს კიდევ არ დაემატება დანამატი, პრემია ან ჯილდო. მისი თქმით, საზოგადოებისთვის არავითარი მნიშვნელობა არ აქვს არც იმას, თუ რა დაერქმევა ბიუროკრატიაზე გაცემულ თანხებს და არც ირაკლი ზარქუას მიერ წარმოდგენილ ცხრილს, სადაც მერიის ყოფილი და მოქმედი მაღალი თანამდებობის პირების წლიური შემოსავალი ასახული, რადგან ხოლო წლების განმავლობაში, მართალია არა მხოლოდ თბილისში, ზოგადად ადგილობრივ თვითმმართველობაში, ბიუროკრატის ხარჯი გაზრდილია 380000000 ლარით იმ ფონზე, როდესაც არ იზრდება პენსია და არ უმჯობესდება პირობები მათთვის, ვისაც ყველაზე მეტად უჭირს.

დავით უჯმაჯურიძისთვის გაუგებარია გიორგი გაბაშვილის სიტყვები, რომ „უგულავამ ააყვავა და განაახლა ქალაქი“, რადგან ვაკის აუზთან, ქალაქისთვის ერთ-ერთი ღირსენაშნავი კიბის ადგილას ააშენა სამი სახლი, „სპორტის სასახლის“ უკან შევარდნაძემ დაიწყო და უგულავამ დაამთავრა მშენებლობა, რომელსაც „საშინელება“ უწოდა, გაასხვისა სასტუმრო „აჭარის“ წინ არსებული ტერიტორია, ხოლო დღეს მიმდინარეობს სწორედ გიგი უგულავას მიერ გაცემული პროექტების შეჩერება.

ირაკლი ზარქუამ განაცხადა, რომ 2018 წელს შემცირებულია როგორც წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი, ასევე შრომითი ანაზღაურების ხარჯები და ამის დამადასტურებელი დოკუმენტი წარუდგინა სხდომას.

ლილე ლიპარტელიანმა განაცხადა, რომ დღეს, როდესაც ინფლაციის დონე 6.7-ია, ხოლო ეკონომიკური ზრდა - 4%, ადამიანებს ეხსენებათ სოციალური დახმარებები და არ ეძლევათ უფასო სასადილოებში კვების საშუალება, დანამატის გაერთიანება სახელფასო სარგოში, პრობლემაა ყველა იმ ადამიანისთვის, ვინც იბრძვის არსებობისთვის და მიმართა

უმრავლესობის წევრებს „თქვენ თუ მიაღწევთ ისეთ ეკონომიკურ ზრდას, როგორც იყო 2007 წელს ან 2012 წელს, რა თქმა უნდა, ხმას არავინ ამოიღებს დანამატებზე, პრემიებზე და ხელფასებზე“, რადგან დანამატიც და პრემიაც არის იმის დამსახურება, თუ როგორი ეკონომიკური ზრდა და ცხოვრების დონეა ქვეყანაში. ლილე ლიპარტელიანი მიმართა უმრავლესობის წევრებს „თქვენი გუნდის არასწორმა ეკონომიკურმა პოლიტიკამ გამოიწვია ის, რომ დღეს ეკონომიკური ზრდა არის ძალიან დაბალი და ამ ფონზე, ნამდვილად არ გეკუთვნით დანამატი“. მან აქვე, უმრავლესობის წევრებისგან მოითხოვა პასუხი იმაზე, თუ რატომ უთხრა გამგეობამ უარი ქალბატონ ლალი ჯაბანაშვილს უფასო სასაბალოში კვებაზე.

ოთარ გრიგოლიამ განაცხადა, რომ ქვეყანაში არ არის ეკონომიკური სტაგნაცია, ქვეყნის ეკონომიკა იზრდება, სავალუტო ფონდის და მსოფლიო ბანკის პროგნოზის მიუხედავად, ჩვენ გადავაჭარბეთ წინასწარ განსაზღვრულ მონაცემებს, ასევე გაზრდილია სამუშაო ადგილები და დაქირავებით დასაქმების მაჩვენებელი. მან სიცრუე უწოდა სოციალური სერვისების შემცირებას და განაცხადა, რომ საყოველთაო ჯანდაცვის ახალმა პროგრამამ მნიშვნელოვნად გააუმჯობესა ქვეყანაში არსებული სოციალური ვითარება, ხოლო თბილისის ბიუჯეტში სოციალური ხარჯები მნიშვნელოვნად გაზრდილია, რაც იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ სოციალური სერვისები მიიღონ იმ მოქალაქეებმაც, რომლებისთვის ეს აქამდე ვერ ხერხდებოდა. ოთარ გრიგოლიას თქმით, ქვეყანა ნელ-ნელა ვითარდება და ერთმნიშვნელოვნად მიდის წინ და მიმართა ოპოზიციის წარმომადგენლებს „ტყუილების თქმით და დემაგოგიით ადამიანების შეცდომაში შეყვანა არ გამოგივით იმიტომ, რომ ყველა ხვდება და ხედავს, რა არის რეალობა და რა არის ტყუილი“.

ჯაბა ჯიშკარიანი დაეთანხმა ბექა დავითულიანს, რომ „დღეს ატეხილი აჟიოტაჟი ცარიელ ჭიქაში ქარიშხლის დატრიალების მცდელობას ჰგავს და მეტს არაფერს“ და განაცხადა, რომ დღეს სხდომაზე წარმოდგენილია ძალიან მნიშვნელოვანი საკითხები და უმრავლესობის წევრები, ოპოზიციისგან განსხვავებით, ორიენტირებული არიან მომავალზე საქმით. მისი თქმით, ოპოზიციის წარმომადგენლების სტილია შოუს დადგმა და დაინტერესდა, ქალბატონი ლალი, რომელიც დღეს ესწრება სხდომას, მიიყვანეს თუ არა რომელიმე სოციალურ სამსახურში და შეხვდათ თუ არა იქ რაიმე წინააღმდეგობა და განაცხადა, რომ „ქართული ოცნების“ წევრები არა მარტო ქალბატონი ლალის, არამედ ნებისმიერი მოქალაქის პრობლემას „მიყვებიან ბოლომდე.“ ჯაბა ჯიშკარიანის თქმით, როდესაც ოპოზიცია საუბრობს ხელფასების ზრდაზე და ბიუჯეტის არამიზნობრივ ხარჯვაზე, აუცილებლად უნდა ითქვას, რომ „ჩვენ არ გვყავს სამსახურებში დასაქმებული ადამიანები, რომლებიც არჩევენ მოგვაგებინებენ“ და ამომრჩეველს ბევრი ფიქრი და გარჯა არ სჭირდება იმისთვის, რომ მიხვდეს თუ ვინ არის „სამოვარზე მოსული“, რისი ნათელი მაგალითია ირაკლი ზარქუას მიერ წარმოდგენილი ცხრილი.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით:

დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“;

მომხსენებელი: სერგო ბირკაძე
თანამომხსენებლები: ვლადიმერ ჭილაძე
გაიოზ თალაკვაძე

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგეობების საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“;
მომხსენებელი: სერგო ბირკაძე
თანამომხსენებლები: ვლადიმერ ჭილაძე
გაიოზ თალაკვაძე
3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის დებულების დამტკიცების შესახებ“;
მომხსენებელი: სერგო ბირკაძე
4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“;
მომხსენებელი: სერგო ბირკაძე
5. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“;
მომხსენებელი: სერგო ბირკაძე
6. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“;
მომხსენებელი: სერგო ბირკაძე
7. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“;
მომხსენებელი: სერგო ბირკაძე
8. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“;
მომხსენებელი: სერგო ბირკაძე
9. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“;
მომხსენებელი: სერგო ბირკაძე
10. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის უსაფრთხოების საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“;
მომხსენებელი: სერგო ბირკაძე
11. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“;
მომხსენებელი: სერგო ბირკაძე
12. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“;
მომხსენებელი: სერგო ბირკაძე
13. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“;
მომხსენებელი: სერგო ბირკაძე

14. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“;
მომხსენებელი: სერგო ბირკაძე
15. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“;
მომხსენებელი: სერგო ბირკაძე
16. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“;
მომხსენებელი: სერგო ბირკაძე
17. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის დებულების“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის N19-68 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“;
მომხსენებელი: სერგო ბირკაძე
18. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის N19-58 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;
მომხსენებელი: სერგო ბირკაძე
19. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების სამტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“;
მომხსენებელი: სერგო ბირკაძე
თანამომხსენებლები: ვლადიმერ ჭილაძე
გაიოზ თალაკვაძე
20. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგეობისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგეობის სტრუქტურული ერთეულების - ტიპური დებულებების დამტკიცების შესახებ“;
მომხსენებელი: სერგო ბირკაძე
21. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგეობების სამტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“;
მომხსენებელი: სერგო ბირკაძე
თანამომხსენებლები: ვლადიმერ ჭილაძე
გაიოზ თალაკვაძე
22. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში M2 კატეგორიის ავტობუსებით ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას შეღავათით მოსარგებლე მოქალაქეთა მგზავრობის ფასის ანაზღაურების შესახებ“;
მომხსენებელი: მალხაზ ჭამპურიძე
23. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული „დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაციის“ ქვეპროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“;
მომხსენებელი: კახაბერ ლაბუჩიძე

24. „ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

25. „ქალაქ თბილისში, ვახტანგ გორგასლის ქუჩა 115-ში (საკადასტრო კოდი: N01.18.09.009.003) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

26. „ქალაქ თბილისში, ვარკეთილი-3-ის II მიკრორაიონის კორპუსი N20-ში (ნაკვეთი 17/008 საკადასტრო კოდი: N01.19.39.017.008.01.525) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

27. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ეკა ცეცხლაძე

28. „ქ.თბილისში, ისნის რაიონში, ჯუმბერ ლეჟავას ქუჩასთან არსებული უსახელო გასასვლელისთვის ჯუმბერ ლეჟავას I გასასვლელის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი

29. „ქ.თბილისში, გლდანის რაიონში, პატარა ტბის ქუჩის შესახვევის გაგრძელების შესახებ“;

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი

30. „ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, პატარა ლილოში, დავით აღმაშენებლის ქუჩასთან არსებული ექვსი უსახელო გასასვლელისთვის დავით აღმაშენებლის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი

31. „ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, დიდ ლილოში თენგიზ ჩანტლაძის ქუჩის გაგრძელებისა და მასთან არსებული უსახელო ჩიხებისთვის თენგიზ ჩანტლაძის II, III და IV ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი

32. „ქ.თბილისში, მთაწმინდის რაიონში, სოფ. ტაბახმელაში, იუნკერთა ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის ტაბახმელას ველის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი

33. „ქ.თბილისში, საბურთალოს რაიონში, სოფ.დილოში, მარკო პოლოს ქუჩასთან არსებული უსახელო გასასვლელისთვის მარკო პოლოს I გასასვლელის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი

34. „ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, სოფ. ნასაგურში ტბის ქუჩის გაგრძელების შესახებ“;

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი

35. „ქ.თბილისში, გლდანის რაიონში, კულა გლდანელის ქუჩის გაგრძელების შესახებ“;

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი

36. „ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, დიდ ლილოში რაჭის ქუჩის გაგრძელების შესახებ“;
მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი
37. „ქ.თბილისში, გლდანის რაიონში, ომარ ხიზანიშვილის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის ხოჭის ტბის სახელის მინიჭების შესახებ“;
მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი
38. „ქ.თბილისში, ვაკის რაიონში, უჩა ჯაფარიძის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ჩიხისთვის თევდორე მხატვრის სახელის მინიჭების შესახებ“;
მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი
39. „ქ.თბილისში, დიდუბის რაიონში, საფეხბურთო კლუბ „დინამოს“ ბაზასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის ფეხბურთელის მიხეილ ბერძენიშვილის სახელის მინიჭების შესახებ“;
მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი
40. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის N2-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;
მომხსენებელი: ლევან ჟორჟოლიანი
41. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეების საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“.
მომხსენებელი: გიორგი ტყემალაძე

მომხრე - 33

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 5

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

ნიკოლოზ ვაჩიშვილმა განაცხადა, რომ ოპოზიციის ნებისმიერ კრიტიკაზე არის ერთი და იგივე პასუხი, თუ რა და როგორ იყო წარსულში, რაც საზოგადოებას აღარ აინტერესებს, მოსახლეობას აინტერესებს რა ხდება დღეს და იქიდან გამომდინარე, რომ „ბევრი არაფერი ხდება კარგი“, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლები არ დაესწრებიან მიმდინარე სხდომას.

ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრებმა, პროტესტის ნიშნად, დატოვეს სხდომა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილემ (ვიცე-მერი) ირაკლი ხმალაძემ დეტალურად ისაუბრა მერიის მიერ შემოთავაზებულ ახალ სტრუქტურაზე და განმარტა, რომ მისი მიზანია შინაარსობრივი რეფორმირება, მუნიციპალური პოლიტიკის ეფექტურად აღსრულება, ბიუროკრატიული პროცესების გამარტივება და მოქალაქეთა მომსახურების გაუმჯობესება. მერიაში მიმდინარე რეორგანიზაციის პროცესი შეეხო ურბანული განვითარების, გარემოს დაცვის, ტრანსპორტის, ზედამხედველობის, მუნიციპალური სერვისების, საზოგადოებასთან ურთიერთობის, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ მიმართულებებს. ურბანული განვითარების მიმართულებით მნიშვნელოვანი სიახლე არის ის, რომ ურბანული განვითარების და ქალაქგეგმარებით ფუნქციებს აღარ

განახორციელებს არიტექტურის სამსახური და ამ მიზნით, იქმნება ურბანული განვითარების საქალაქო სამსახური, რომელიც, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, კოორდინაციაში იქნება გარემოს დაცვის და ტრანსპორტის საქალაქო სამსახურებთან. რაც შეეხება გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურს, გარდა იმისა, რომ შეითავსებს ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის ფუნქციებს, მონაწილეობას მიიღებს ქალაქმშენებლობითი დაგეგმარების პროცესში, შეიმუშავებს ტყის მართვის პოლიტიკას და უზრუნველყოფს მუნიციპალური ნარჩენების მართვის თანამედროვე სტანდარტების დანერგვას. ირაკლი ხმალაძემ ისაუბრა ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის ახალ ფუნქციებზეც და აღნიშნა, რომ განსაზღვრავს პოლიტიკას ტრანსპორტის მიმართულებით და ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურთან ერთად, მონაწილეობას მიიღებს ქალაქგეგმარებით პროცესებში. ზედამხედველობის მიმართულებით წარმოდგენილია მხოლოდ ერთი ცვლილება, კერძოდ, სამსახურს ემატება ქალაქში ნარჩენების დაყრის, გატანის და ტრანსპორტირების წესების დარღვევაზე ზედამხედველობის და რეაგირების ფუნქცია. მუნიციპალური სერვისების მაღალი სტანდარტის და „ერთი სარკმლის პრინციპით მომსახურების“ დამკვიდრების მიზნით, ყველა ის მუნიციპალურ მომსახურება, ადამიანურ რესურსთან ერთად, რომლებსაც აქამდე ახორციელებდნენ სხვა სხვა სამსახურები და გამგეობები, გადადის მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოში, რომელიც ცენტრალიზებულად განახორციელებს ამ პროცესების მენეჯმენტს და მომსახურებას განავითარებს ისე, რომ მოქალაქეებისთვის მაქსიმალურად გამარტივდეს მუნიციპალური სერვისების მიღება. ასევე, საზოგადოებასთან კომუნიკაციის განვითარების სააგენტოში კონსოლიდირდება საზოგადოებასთან ურთიერთობების ფუნქციები და მერიის სხვადასხვა უწყებებში ამ მიმართულებით მომუშავე ადამიანური რესურსი. ასევე, მნიშვნელოვანია ორი სიახლე: ერთის მხრივ, კულტურის და მეორეს მხრივ, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურების გაერთიანება და კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურისთვის, ფუნქციების შესაფერისი სახელწოდების დარქმევა - ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახური. ირაკლი ხმალაძემ აღნიშნა, რომ რეორგანიზაციის შედეგად, მერიაში რჩება 13 საქალაქო სამსახური, ერთი ადმინისტრაცია და 10 გამგეობა. მან განმარტა, რომ წარმოდგენილია ორი საშტატო ნუსხა, რომელთაგან ერთი იმოქმედებს 22 თებერვლის ჩათვლით და მასში, მოქმედ კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების და დამტკიცებული კოეფიციენტების შესაბამისად, შეცვლილია თანამდებობრივი სარგოები, ხოლო მეორე ამოქმედდება 23 თებერვლიდან და იქნება არსებულისგან მცირედით განსხვავებული. ირაკლი ხმალაძემ აღნიშნა, რომ რეორგანიზაციის შემდეგ, მერიაში საშტატო ერთეულების საერთო რაოდენობა მცირდება 120 ერთეულით და დეტალურად ისაუბრა თითოეულ საქალაქო სამსახურში და გამგეობებში დღეს არსებულ და სამომავლოდ დაგეგმილ საშტატო ერთეულების რაოდენობაზე. აქვე აღნიშნა, რომ ასევე მცირდება მერიაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულთა საერთო რაოდენობა 249 ერთეულით.

